



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №19/60

2017 წლის 21 აგვისტო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე მდებარე 2101.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.10.605) ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად ქალაქ ფოთში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე მდებარე 2101.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.10.605) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე მდებარე 2101.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.10.605) ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

ამასთანავე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

ასევე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2017 წლის 26 ივლისის №2-11/7991 წერილში აღნიშნულია, რომ საიჯარო მიწის ნაკვეთი არ მდებარეობს მდინარე რიონის საინჟინრო დაცვის ზონაში და აქედან გამომდინარე მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა და მასზე თევზის მცირე სანაშენეს მოწყობის საკითხი არ საჭიროებს შეთანხმებას დეპარტამენტთან.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე მდებარე 2101.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.10.605) ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადასცეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე მდებარე 2101.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.10.605).

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 21 აგვისტოდან.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია